

ქ.თბილისი

2017 წლის 9 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 9 ოქტომბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაძე ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის მ. გოგიჩაიშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის ბ. აქუბარდიას მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 1 ოქტომბერს, რეგიონალური ლიგის კალენდარულ მატჩზე, თბ „დევები“-სა და გორის „გორდა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბ. „დევები“-ს მორაგბემ შოთა დევიძემ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის ოფიციალურ პირს.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი № 1 -ის 2.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „დევები“-ს მორაგბე შ. დევიძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. კლუბ „დევები“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.2 პუნქტი და კლუბ „დევებს“, რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/